საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხარიტონაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	89	100

სახელი, გვარი: თემურ გოგობერიძე

თარიღი : 09.07.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი თემურ გოგოხია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის ნინო ხარიტონაშვილის - შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ნინო ხარიტონაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის კანონის 34^1-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას შევაფასე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლის საფუძველზე და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის გათვალისწინებით შევადგინე კანდიდატის შეფასების საბოლოო დასკვნა. ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' ორგანული კანონის 36^3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები: პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება; ***პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით*** კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე, სამსახურეობრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგ: ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, ჯარიმის გადახდის დროს) და სხვა. მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით ნინო ხარიტონაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატს აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია, მის მიერ

		შევსებული დეკლარაცია შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს უფიქსირდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტები. ხსენებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სახდელები (ჯარიმა) კანდიდატს გადახდილი აქვს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. გამოკითხული რესპოდენტებიდან: კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას ყველა იცნობს - კარგად. ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს. ყოველივე ზემოაღნიშნული და მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების, შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი - ნინო ხარიტონაშვილი აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებელს. ***დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის პრინციპულობა, მის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით

		მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა; კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად: ნინო ხარიტონაშვილი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი, გასაუბრებიდან გამომდინარე კანდიდატს არ გამოუხატავს მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა მოქალაქეთა ჯგუფების ან შეხედულებათა მიმართ. კანდიდატი არის გულისხმიერი, პრინციპული, სამართლიანი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, აქვს მოსაზრებათა მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი. რაც იძლევა საფუძველს კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლით კანდიდატი შეფასებული იქნას დადებითად. *პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით* კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნინო ხარიტონაშვილის მიმართ დისციპლინური

		დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა, ასევე, არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად. კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა რამოდენიმე საქმეში. ამასთან კანდიდატი თავად განცხადებაში უთითებს, რომ იყო მოსარჩელე შრომით- სამართლებრივ დავაზე. გასაუბრების ეტაპზე კანდიდატი იქცეოდა კორექტულად, იყო თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული. ყოველივე ზემოთაღნიშნული გარემოებების შეჯერების შედეგად ნინო ხარიტონაშვილს კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლის გათვალისწინებით ვაფასებ დადებითად. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გამოკითხული რესპოდენტებიდან კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას ყველა იცნობს - კარგად, ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

		ყოველივე ზემოაღნიშნულის შეფასების შედეგად, ვთვლი, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების ამ მახასიათებლით შეფასებული იქნას დადებითად. *ფინანსური ვალებულების მახასიათებლით-* კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის, შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნინო ხარიტონაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში მის სახელზე რეგისტრირებულია შპს „მიდვეი კაფეს“ 25%-იანი წილი. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული სახდელები (ჯარიმა) გადახდილი აქვს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. **საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვთვლი, რომ არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**	კომპეტენტურობის კრიტერიუმით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ნინო ხარიტონაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: სამართლის ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა; ამასთან კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, კანდიდატის მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად მის მიერ გადმოცემულ პოზიციას,

			მოსაზრებას და საერთო შთაბეჭდილებას. *სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით* - კანდიდატის შეფასებისას ყურადღება ექცევა კანდიდატის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონეს. გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და კანდიდატის მიერ წარმოდგენილი პუბლიკაციის ანალიზის შედეგად შემიძლია დავასკვნა რომ ნინო ხარიტონაშვილი ფლობს სამოქალაქო საპროცესო და მატერიალური სამართლის თეორიულ ცოდნას, ასევე, ერკვევა საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში. ასევე, საჯარო გასაუბრების მიმდინარეობისას, კანდიდატს დაესვა სამართლებრივი კითხვა ადმინისტრაციული სამართლის კუთხით, კერძოდ, ნორმის ბათილობისა და ძალადაკარგულობის ინსტიტუტების შესახებ, რაზედაც კანდიდატმა განავითარა მსჯელობა და წარმოადგინა საკუთარი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებით. რაც შეეხება კანდიდატის ცოდნის დონეს საერთაშორისო სამართლის ნორმების, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის და ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის ცოდნის კუთხით, დაისვა კითხვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შემადგენელი ელემენტების შესახებ და

			სამართლიანი სასამართლოს უფლების შესახებ. რაზედაც კანდიდატმა განავითარა საინტერესო და ფართო მსჯელობა, მსჯელობისას და არგუმენტირებისას მოიშველია სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**	***სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით*** - მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. ნინო ხარიტონაშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 17 წლიანი გამოცდილება. კანდიდატის მიერ კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა მისი სამეცნიერო სტატია ,,მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში'' რაც თავის მხრივ წარმოადგენს მის სადისერტაციო ნაშრომს. აღნიშნული პუბლიკაციის გაანალიზების შედეგად მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. კანდიდატი პუბლიკაციაში მსჯელობს თანმიმდევრულად და განხილული მასალის საფუძველზე აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს. ამასთან კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად, გათვალისწინებული იქნა მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული

			გამოცდილება. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა შეძლო სამართლებრივი საკითხების განხილვისას საკუთარი მოსაზრებების ცხადად და არგუმენტირებულად დასაბუთება.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**17**	**20**	*წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით* კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად, კანდიდატს აქვს სხვისი აზრის მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, არის ღია სიახლეებისა და განსხვავებული აზრის მოსასმენად.
პროფესიული თვისებები	**12**	**15**	*პროფესიული თვისებების მახასიათებლით* კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. კანდიდატის შესახებ მოძიებული, მათ შორის რეკომენდატორების მიერ მოწოდებული ინფორმაცის

			თანახმად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ნინო ხარიტონაშვილი არის შრომისმოყვარე ღია სიახლეების მიმართ ღია პიროვნება.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**10**	**10**	***აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ და აკადემიურ საქმიანობას. კანდიდატი უთითებს რომ არის: - თბილისის ღია უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ავტორი სალექციო კურსის ,,შედარებითი სამოქალაქო პროცესი"; - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი; - გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კითხულობს ლექციებს სამოქალაქო პროცესში, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალში, სანოტარო სამართალში; შემუშავებული აქვს მოდული

			საქართველოში შრომის სამართლის განვითარებაზე. - მოწვეული ლექტორი სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სასწავლო ცენტრში - ,,სამოქალაქო პროცესი". კანდიდატი არის სამართლის დოქტორი (თსუ)
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**	***პროფესიული აქტივობის მახასიათებლით შეფასებისას*** - კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა. კანდიდატს აქვს მონაწილეობა მიღებული არაერთ ღონისძიებასა და სემინარში, მათგან აღსანიშნავია: - ნოტარიატი - ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირი, ნოტარიატის მსოფლიო უნივერსიტეტი - სასწ. კურსი, რომი, იტალია. - საერთაშორისო კონფერენცია „საოჯახო საკუთრების რეჟიმები 2016/1103/1104 რეგულაციებთან მიმართებაში“ - ტრენინგი, ბუდაპეშტი, უნგრეთი. - საჯარო პოლიტიკის ანალიზი, პროექტი: „საჯარო მმართველობის რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში“ - მთავრობის ადმინისტრაცია, UNDP - ტრენინგი, თბილისი. - პრეზენტაციის უნარები და წერილობითი კომუნიკაცია - USAID - ტრენინგი, თბილისი
ქულათა ჯამი	**89**	**100**	

დასაბუთება	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, რაც შეეხება კომპეტენტურობის კრიტერიუმს, კანდიდატს ჯამში ვაფასებ 89 ქულით.

სახელი, გვარი: თემურ გოგოხია

ხელმოწერა:

თარიღი: 09.07.2021